



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო



KA011742233556320

მისამართი: თბილისი 0114 სანაპიროს ქ. #2; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

246195

03 / აგვისტო / 2020 წ.

გადაწყვეტილება

ადმინისტრაციული საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ

ადმინისტრაციული საჩივრის ნომერი: 257266/17. **თარიღი:** 28.07.2020.

ადმინისტრაციული საჩივრის წარმომდგენი პირი: თამაზ ტურაბაშვილი (პირადი ნომერი 01003002151).

გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომცემი სტრუქტურული ქვედანაყოფის დასახელება: საჯარო რეესტრის ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახური (შემდგომში - „ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახური“).

გასაჩივრებული გადაწყვეტილება: სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ № 882017894040-15 (02.07.2020 წ.) გადაწყვეტილება.

ადმინისტრაციული საჩივრის წარმომდგენი პირის მოთხოვნა: გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

უძრავი ნივთის მისამართი: ქალაქი თბილისი, ზღვის უბანი, ნაკვეთი №21.

წარმომდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ის პასუხობს ადმინისტრაციული საჩივრის წარმოებაში მიღებისათვის კანონით გათვალისწინებულ ყველა პირობას და შესწავლილ უნდა იქნეს სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ № 882017894040-15 (02.07.2020 წ.) გადაწყვეტილების კანონიერების საკითხი.

ამასთან, № 882017894040 (26.09.2017 წ.) სარეგისტრაციო განცხადებასთან დაკავშირებულ სარეგისტრაციო წარმოებაზე მომზადებული 02.10.2017 წლის სიტუაციური ნახაზის მიხედვით, სარეგისტრაციოდ წარდგენილი უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემები ხვდება 01.12.15.001.064 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებში (ზედდება).

ამდენად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების პრინციპების დაცვით, ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებული მხარის სტატუსით ჩაბმულ უნდა იქნეს შპს „საპარტნიორო ფონდი - მწვანე განვითარება“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 405249075).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის თანახმად, დაინტერესებული მხარე განმარტებულია, როგორც ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მიეცა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა, ხოლო მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ პირს უნდა ეცნობოს ადმინისტრაციული წარმოების შესახებ და უზრუნველყოფილ იქნეს მისი მონაწილეობა საქმეში.


საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩააბას დაინტერესებული მხარე მისი მოთხოვნის საფუძველზე, ხოლო კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში ვალდებულია უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების, სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის, რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს აღნიშნული გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოქმედებას.

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. მიღებულ იქნეს წარმობაში თამაზ ტურაბაშვილის (პირადი ნომერი 01003002151) № 257266/17 (28.07.2020 წ.) ადმინისტრაციული საჩივარი.
 2. წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივარი გაეგზავნოს ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურს.
 3. ადმინისტრაციულ წარმობაში დაინტერესებულ პირებად ჩაბმულ იქნეს შპს „საპარტნიორო ფონდი - მწვანე განვითარება“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 405249075).
 4. წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის, № 882017894040 (26.09.2017 წ.) სარეგისტრაციო განცხადებაზე წარდგენილი დოკუმენტაციის/ინფორმაციის, ამ წარმობაზე მომზადებული 02.10.2017 წლის სიტუაციური ნახაზის, ამავე წარმობაზე ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურის მიერ მოძიებული დოკუმენტაციის/ინფორმაციისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების ასლები (38 (ოცდათვრამეტი) ფურცელი) გაეგზავნოს აღნიშნული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტში მითითებულ დაინტერესებულ მხარეს.
 5. დაინტერესებულ მხარეებს განემართოთ, რომ წარმობაში არსებულ საკითხთან დაკავშირებით, უფლება აქვთ, გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში წარმოადგინონ წერილობითი მოსაზრებები, მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნონ ადმინისტრაციული წარმობის მასალებს, ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთობა აწარმოონ წარმომადგენლის მეშვეობით, განაცხადონ აცილება და ისარგებლონ დაინტერესებული მხარის უფლებებით, რაც გათვალისწინებულია მიმდინარე კანონმდებლობით;
 6. დაევალოს საჯარო რეესტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას წინამდებარე კორესპონდენციის საჯაროდ გამოცხადება ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე საჯარო რეესტრსა (მისამართი: ქ. თბილისი, თბილისის იუსტიციის სახლი, სანაპიროს ქ. № 2) და საჯაროდ გამოცხადების შესახებ ინფორმაციის წერილობითი ფორმით წარმოდგენა.
 7. წინამდებარე კორესპონდენცია ასევე საჯაროდ გამოცხადდეს საჯარო რეესტრის ოფიციალურ ვებგვერდზე: www.napr.gov.ge.
 8. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მხარეთათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.
- წინამდებარე ადმინისტრაციული აქტი ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამგდასმულია
ელექტრონულად 

დავით დევიძე